



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კატრანი

კატრანი, ქიცვიანი ზვიგენი, ზღვის ძაღლი (*Squalus acanthias*, Linnaeus, 1758). ხრტილოვანი თევზი კატრანების გვარიდან (*Squalus* Linnaeus, 1758), კატრანისებრთა ოჯახიდან (*Squalidae* Blainville, 1816). გავრცელებულია ატლანტის ოკეანის დას. და აღმ. ნაწილში, ხმელთაშუა ზღვაში. შავი ზღვის სანაპიროზე გვხვდება ყველგან. იშვიათად შედის აზოვის ზღვაში. იკვებება უმთავრესად თევზებით. სიგრძით 105–140 სმ-ია, ზოგჯერ 2 მ-მდე იზრდება მასა 15–20 კგ-ია. ცოცხლადმშობი თევზია. თებერვლიდან მაისამდე შობს 15–20 ლიფსიტას, იშვიათად – 25–30. სარეწაო მნიშვნელობის თევზია. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მხრიდან საჭიროებს ზრუნვას (VU). გამოიყენება საკვებად როგორც ნედლი, ისე შებოლილი სახით. მისი ღვიძლისაგან მზადდება სამედიკ. პრეპარატები, ტყავს იყენებენ მსუბუქ მრეწველობაში.

**ნ. ნინუა**

---